

## საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N9 - იმეილ ბანკი

1. **იმეილ ბანკის** საშუალებით **კლიენტი** უფლებამოსილია **განაცხადში** დაფიქსირებული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან, **განაცხადშივე** მოცემული **ბანკის** ელექტრონული ფოსტის მისამართზე, **ბანკს** მისცეს, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **ოპერაციების** შესახებ, **დავალება**.
2. **ბანკი კლიენტს** სთავაზობს **იმეილ ბანკით მომსახურებას საბანკო დღის** განმავლობაში. აღნიშნული პირობა შეიძლება დაირღვეს, თუ ნებისმიერი მიზეზით დროებით შეფერხებულია ელექტრონულ ფოსტასთან კავშირი.
3. **განაცხადში** მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან განხორციელებული ნებისმიერი კომუნიკაცია ჩაითვლება **კლიენტის** მხრიდან განხორციელებულ კომუნიკაციად და **კლიენტი** პასუხისმგებელი იქნება ყველა იმ კომუნიკაციაზე, **დავალებაზე** რომელიც განხორციელდება აღნიშნული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან.
4. **იმეილ ბანკით მომსახურების** განხორციელებისათვის აუცილებელია **კლიენტმა, განაცხადში** დაფიქსირებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე, გაიაროს იდენტიფიკაცია, **ბანკში** დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
5. **კლიენტის** იდენტიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს **დიჯიპასით** დაგენირებული ერთჯერადი კოდით ან/და **ცენტრალური იდენტიფიკაციის სისტემაში** დაფიქსირებულ **კლიენტის ფინანსურ ნომერზე** გაგზავნილი **ერთჯერადი კოდით**, **ბანკის** მოთხოვნის შესაბამისად.
6. იდენტიფიკაციის **ბანკის** შეხედულებისამებრ წარმატებით გავლის შემდეგ **ბანკი** უფლებამოსილია შეასრულოს **კლიენტის დავალება**, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გულისხმობს **ანგარიშ(ებ)იდან** ფულადი სახსრების გადარიცხვას, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც აღნიშნული **დავალებები** არ იყო გაცემული **კლიენტის** მიერ ან გაცემულია **კლიენტის ავტორიზაციის** გარეშე.
7. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს იმეილ ბანკით** არა ავტორიზებული სარგებლობაზე ეჭვის ან რეალური ფაქტების შესახებ ან იმის შესახებ, რომ შესაძლოა **მესამე პირს** ჰქონოდა ან ჰქონდეს გარკვეული წვდომა **განაცხადში** დაფიქსირებულ ელექტრონულ ფოსტასთან.
8. **ბანკი** უფლებამოსილია:
  - 8.1. **განაცხადში** მითითებულ **ბანკის** ელექტრონული ფოსტის მისამართზე გამოგზავნილი **დავალება** გადაიტანოს **ბანკისთვის** სასურველ ფორმაში (მათ შორის: WORD; PDF და ა.შ.), გაუგზავნოს აღნიშნული სახის **დავალება კლიენტს** და მოსთხოვოს **კლიენტს** მისი დადასტურება საპასუხო ელექტრონული შეტყობინების გაგზავნის გზით. **კლიენტის** მხრიდან დასტური უნდა განხორციელდეს **ბანკის** მიერ ელექტრონული შეტყობინების გაგზავნის დღის 18:00 საათამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში **დავალება** გაუქმდება ავტომატურად, **კლიენტისათვის** დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე.
  - 8.2. **იმეილ ბანკის** ფარგლებში გაგზავნილი **დავალების** დასადასტურებლად დაუკავშირდეს **კლიენტს ბანკში, კლიენტის** სარეგისტრაციო ფორმაში დაფიქსირებულ **ფინანსურ ნომერზე** და მოსთხოვოს **კლიენტს დავალების** დადასტურება. იმ შემთხვევაში, თუ **ბანკი** ვერ დაუკავშირდება **კლიენტს** აღნიშნულ **ფინანსურ ნომერზე დავალების ბანკისთვის** გაგზავნის დღის 18:00 საათამდე (იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული დღე ემთხვევა **არასაბანკო დღეს**, მომდევნო **საბანკო დღის** ბოლომდე) **დავალება** გაუქმდება ავტომატურად **კლიენტისათვის** დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე.